*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს*

*თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს*

*2017 წლის ბიუჯეტის პროექტზე*

# განმარტებითი ბარათი

1. ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები (ნაშთის 10.0 ათასი ლარის ჩათვლით) განსაზღვრულია 6 117,6 ათასი ლარით. 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2017 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 202,6 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 7838,6 ათ. ლარით, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურის სამუშაოებზე თანხის მოცულობა ასახული არ არის, ასევე 2017 წლის პროექტში გათვალისწინებული არ არის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანხები, რომლებზედაც თანხების გამოყოფა მოხდება 2017 წლის დასაწყისში.

ბიუჯეტის შემოსავლებში საშემოსავლო გადასახადის შემოსასვლელი რაოდენობა შეადგენს 460,0 ათას ლარს. ქონების გადასახადიდან გაანგარიშებულია შემოვიდეს 650,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 2307,2 ათასი ლარი, მათ შორის: დეპოზიტზე და ანაგარიშზე დარიცხული პროცენტები 5,0 ათასი ლარი, დივიდენდები 20,0 ათასი ლარი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 2180,6 ათასი ლარი, აქედან წიაღისეულით სარგებლობის - 2080,6 ათასი და ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის - 90,0 ათასი ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი ( კარიერით სარგებლობის) 10,0 ათასი ლარი, შემოსავლები მიწის იჯარიდან მართვაში 4,0 ათასი ლარი (ქირავნობა, უზურფრუქტი და სხვა).

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები გაანგარიშებულია 22,6 ათასი ლარი, მ. შ. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი 0,2 ათასი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი 7,4 ათასი და სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (მშენებლობის ნებართვა) 15,0 ათასი ლარი და ჯარიმები, სანქციები და საურავები 75,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 50,0 ათას ლარს. სულ ადგილობრივი წყაროებიდან შემოსავლები შეადგენს 3467,2 ათას ლარს.

პროექტით გათვალისწინებულია გამოიყოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარებები (ტრანსფერი) 2640,4 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი 2457,4 ათასი ლარი და მიზნობრივი დანიშნულების (დელეგირებული უფლება–მოსილების განსახორციელებლად) – 183.0 ათასი ლარი; წლის დასაწყისისთვის რიცხული თავისუფალი ნაშთი მიმართული ხარჯების დასაფარავად კი შეადგენს 10.0 ათას ლარს.

2. ბიუჯეტის გადასახდელები.

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის საჭირო თანხებზე, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და გათვლილია სულ 6117,6 ათასი ლარი, აქედან: მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე დაიხარჯება 2140,3 ათასი ლარი, მათ შორის: წარმომადგენლობითი ორგანოების შენახვაზე 705,0 ათასი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე 1355,3 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 80,0 ათასი ლარი;

თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე დაიხარჯება 121,8 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი 91,7 და 30,1 ათასი ლარი ადგილობრივი შემოსავლებიდან)

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე – 688,3 ათასი ლარია მიმართული, აქედან:

საგზაო სამუშაოებზე პირველ ეტაპზე (დიდთოვლობა, სტიქია და სხვა საგზაო სამუშაოები) დაიხარჯება 50,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ კომუნალური სამსახური ,,სხივი"– ს დაფინანსებაზე დაიხარჯება 453,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ ,,კურორტ ბახმაროს" დაფინანსებაზე გამოყოფილია - 77,0 ათასი ლარი.

შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების ხარჯებზე დაიხარჯება 33,8 ათასი ლარი;

დაბის არქიტექტურული იერსახი მოწყობის ხარჯები - 25,0

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება საწყის ეტაპზე დაფინანსდება - 10,0 ათასი ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდება 39,5 ათასი ლარით (უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლიაციას მოხმარდება 4,0 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა 35,4 ათასი ლარით განხორციელდება: დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულში კეთილმოწყობის სამუშაოები).

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება 1135,2 ათასი ლარი, აქედან ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო სამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი"-ს შენახვაზე 1000,0 ათასი ლარია განსაზღვრული.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 100,0 ათასი ლარია გათვალისწინებული;

განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 20,0 ათასი ლარი მოხმარდება;

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამაზე 15,2 ათასი ლარი დაიხარჯება;

სპორტული, კულტურული, ახალგაზრდული ღონისძიებების და რელიგიის შენახვას 1 375,0 ათასი ლარი მოხმარდება, აქედან სპორტის განვითარების ხელშეწყობას 465,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის დაფინანსებაზე – 143,0 ათასი, ა(ა)იპ სასპორტო სკოლის დაფინანსებაზე – 300,0 ათასი ლარი და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო 2009" – ს დაფინანსებაზე 20,0 ლარი. გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტის ჩოხატაურის ორგანიზაციის დაფინანსებაზე 2.0 ათასი ლარი დაიხარჯება;

კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება 875,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე – 320,0 ათასი ლარი დაიხარჯება, ა(ა)იპ

საბიბლიოთეკო გაერთიანების დაფინანსებაზე – 117,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების – 135,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლის დაფინანსებაზე – 105,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ სამხატვრო გალერეას დაფინანსებაზე - 60,0 ათასი ლარი და ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის დაფინანსებაზე - 130,0 ათასი ლარი დაიხარჯება. საახალწლო ღონისძიებებზე 8,0 ათასი ლარი დაიხარჯება, ახალგაზრდული ღონისძიებების და ტურიზმის პროექტების თანადაფინანსებას 25,0 ათასი ლარი მოხმარდება, რელიგიის დაფინანსებაზე კი 10,0 ათასი ლარი;

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 657,0 ათასი ლარით დაფინასნდება, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვას მოხმარდება 100,0 ათასი ლარი, (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 66,0 ათასი ლარი და 34,0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით) დანარჩენი 553,0 ათასი ლარი სოციალურ დახმარებებზე დაიხარჯება, მათ შორის:

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის ხარჯი 2,0 ათასი ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება 105,0 ათასი ლარი;

ლტოლვილთა დახმარება 11,0 ათასი ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის

დაღუპულთა ოჯახების დახმარება 14,3 ათასი ლარი;

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი 246,2 ათასი ლარი. აქედან:

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვები (12,0 ათასი ლარი);

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 65000 დან 200 000 -ის ჩათვლითაა,სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა (52,5 ათასი ლარი);

18 წელს ზევით ასაკის შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა (12,0 ათასი ლარი);

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი (35,0 ათასი ლარი);

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი (5,1 ათასი ლარი);

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი (7,1 ათასი ლარი);

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს (18,5 ათასი ლარი);

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება (13,0 ათასი ლარი);

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა ოჯახების დახმარება (6,0 ათასი ლარი);

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ. პირების მედიკამენტების შეძენის ხარჯი (7,0 ათასი ლარი);

ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების ოჯახების დახმარება (10,2 ათასი ლარი);

საინვესტიციო პროგრამების თანადაფინანსება (60,5 ათასი ლარი);

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა დახმარება (1,8 ათასი ლარი);

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება) (8,0 ათასი ლარი);

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 176,0 ათასი ლარი. აქედან:

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება (28,0 ათასი ლარი);

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება (20,0 ათასი ლარი);

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება (2,4 ათასი ლარი);

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება (2,5 ათასი ლარი);

ხანდაზმულ პირთა დახმარება (2,4 ათასი ლარი);

მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (90,0 ათასი ლარი);

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება (5,5 ათასი ლარი);

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი) 25,2 (ათასი ლარი);

## 2016 წლის ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

2016 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული მოცულობა ნოემბრის თვის მდგომარეობით შეადგენს 13956,2 ათასი ლარს.

თანხების ხარჯვა წლის განმავლობაში მიმდინარეობს გეგმაზომიერად და როგორც საერთო მოცულობაში, ისე ცალკეული მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით გადახარჯვებს ან აუთვისებლობის ფაქტებს ადგილი არ ექნება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 6928,8 ათასი ლარი მიიმართა შემდეგ ღონისძიებებზე: სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე, რომლის ფარგლებში დაფინანსდა: შიდა სასოფლო გზების, ხიდების და სანიაღვრე არხების, დამბა გაბიონების რეაბილიტაცია, მოსაცდელების მოწყობა, სასმელი წყლის და მილების და სათავე ნაგებობების მოწყობა, სოფ კლუბების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ასევე სხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების ასფალტო-ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებზე, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე, დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობაზე, მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების, ხიდების, გაბიონების აღდგენა და სხვა ღონისძიებები;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდება ადგილობრივი და სახელწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების სრულად ათვისება.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა